INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.nea.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 22 აგვისტო

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
www.nea.ge/www.eqe.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
31,82%
66,43%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
30,77%
59,50%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
45,00%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
7,14%
31,50%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
39,13%
20,89%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
38,46%
47,80%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
40,00%
17,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული არანაირი ინფორმაცია ცენტრის ხელმძღვანელობის შესახებ, კერძოდ:

- არ მოიძიება ცენტრის დირექტორის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა, იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან დირექტორს. აგრეთვე არ მოიძიება დირექტორის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოიძიება ცენტრის დირექტორის მოადგილის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციისა და საკურატორო სფეროს აღწერა. აგრეთვე არ მოიძიება მოადგილის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

2. ცენტრის სრული დასახელებაა „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი“, ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება. ამასთან, არ მოიძიება ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითებით), ფაქსის ნომერი, ცენტრის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ერთეულების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები), აგრეთვე ცენტრის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი:

4. ცენტრის მოქმედი დებულების თანახმად ცენტრის სხვა მიზნებს შორის განსაზღვრულია ასევე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სამართლებრივი დახმარების გაწევა. ღნიშნული ინფორმაცია ვებ-გვერდზე აღწერილ მიზნებს შორის არ არის წარმოდგენილი, ამასთან აგრეთვე არ მოიძიება ცენტრის ფუნქციებისა და საქმიანობის საგნის აღწერა:

მიზნები:

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიზნებია:

საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით განათლების ხარისხის შიდა მექანიზმების ფორმირების ხელშეწყობა, გარე მექანიზმების განხორციელება და მათ შემდგომ სრულყოფაზე ზრუნვა;

საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და პროგრამაზე ჩარიცხული პირების მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;

მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;

საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათ მიმართ ნდობის ამაღლება;

საგანმანათლებლო დოკუმენტების სანდოობისა და მინიჭებული კვალიფიკაციების დასაქმების ბაზართან კავშირის უზრუნველყოფა;

მიღებული განათლების სწავლის შედეგების მნიშვნელობისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ კვალიფიკაციებთან მათი შესაბამისობის შეფასება;
ქართული ენის განვითარებისა და ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის დამკვიდრების ხელშეწყობა.

ცენტრი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი მუშაობას წარმართავს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, «განათლების ხარისხის განვითარების შესახებ» საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო აქტების, სამინისტროს მიერ დამტკიცებული ცენტრის დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი;

- არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა; ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „მომსახურება“ წარმოდგენილია მხოლოდ სამართლებრივი უზრუნველყოფის მომსახურების სამსახურის ფუნქციები:

სამართლებრივი უზრუნველყოფა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის აპრილის #50/ნ ბრძანებით ცვლილება შევიდა "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის #89/ნ ბრძანებაში და ცენტრს სტრუქტურული ერთეულის სახით დაემატა სამართლებრივი უზრუნველყოფის მომსახურების სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების და ნოვაციების გაცნობა;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი ხელშეწყობა;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მომზადებული დოკუმენტების სამართლებრივი ექსპერტიზა;

დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადებაში სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა;

ე) შრომითი, საიჯარო, შესყიდვების და სხვა სახის ხელშეკრულების პროექტის მომზადებაში სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა;

ვ) სასამართლოში წარმომადგენლობა.

ფუნქციებიდან გამომდინარე, სამსახურის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული სამართლებრივი ხასიათის ხარვეზების იდენტიფიკაცია და მათი კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, სამართლებრივი აქტების სისტემატიზაცია და საქმისწარმოების ერთიანი სტანდარტის შემუშავება, დირექტორებისთვის საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობის მიზნით სწავლება-ტრენინგის დაგეგმვა.

- არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, კომპეტენციის აწერა, მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: მისაღებების (თანაშემწეების) სამუშაო ელ.ფოსტები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

- არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული დანაყოფების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები.

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სათათბირო ორგანოების შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოძიება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სათათბირო ორგანოების - აკრედიტაციისა და ავტორიზაციის საბჭოების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები (CV);

- არ მოიძიება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სათათბირო ორგანოების - აკრედიტაციისა და ავტორიზაციის საბჭოების სტრუქტურა და შემადგენლობა.

➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

7. ცენტრის ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა არქივი, ტენდერების არქივი, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები, სტატისტიკური მონაცემები, პროგრამები და პროექტები, გეგმები და პროგნოზები, საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები *და ა.შ.* ამასთან, ვებ-გვერდზე არსებული ქვე-განყოფილების „ვაკანსია და ტენდერები“ შიგთავსი თითქმის ცარიელია, მასში განთავსებულია ვაკანსიის მხოლოდ ერთი - ივლისის თვის განცხადება.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ცენტრის შესახებ'' არსებული ქვე-განყოფილება „წლიური ანგარიშები“ ცარიელია. აგრეთვე, განყოფილებაში „საგანმანათლებლო სისტემა“ არსებული ქვე-განყოფილება „დიპლომის ფორმა“ და „საერთაშორისო პროგრამები“ ცარიელია. ცარიელია აგრთვე, განყოფილებაში „ავტორიზაცია და აკრეტიდაცია“ არსებული ქვე-განყოფილება „გადაწყვეტილებები“, „ავტორიზებული დაწესებულებები“ და „ექსპერტები“ .

➢ **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

8. ცენტრის ვებ-გვერდზე არ არსებობს ცალკეული (ქვე-)განყოფილება სათაურად „სიახლეები“, ცენტრის საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვები განთავსებულია მხოლოდ ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე, რაც სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის აღნიშნული ინფორმაციის მოძიების მხრივ. ამასთან, მოცემულ გვერდზე მოყვანილი უკანასკნელი ცნობები თარიღდება მხოლოდ 2011 წლის ივლისის თვით, რაც საშუალებას არ აძლევს მომხმარებელს გაეცნოს ცენტრის საქმიანობის შესახებ 2011 წლის ივლისის თვემდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის ცნობებს.

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ არანაირი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება ცენტრის დირექტორის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები დირექტორის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ და ცნობები დირექტორის მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში;

- არ მოიძიება ცენტრის დირექტორის მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მოადგილის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ და ცნობები მოადგილის მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში.

10. ვებ-გვერდზე არ არსებობს ცალკეული (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა ცენტრის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ ცენტრის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები. აღნიშნული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში „წლიური ანგარიშები“.

12. სასურველია ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და ცენტრის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი. აგრეთვე სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი.

14. სასურველი ვებ-გვერდზე არსებობს ცალკეული (ქვე-)განყოფილება „ტენდერები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა ცენტრის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ **,,საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის'' ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ცენტრის მიერ გამოცხადებული ტენდერებისა და შესყიდვების სრულ ჩამონათვალი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/shesyidvebi_G.pdf);

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

15. შეიძლება ითქვას რომ ვებ-გვერდზე არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა - მართალია არსებობს ქვე-განყოფილება სათაურად ,,სამართლებრივი აქტები", თუმცა მასში განთავსებული ოთხი საკანონმდებლო აქტიდან, ოთხივე მოცემულია ძველი მდგომარეობით. ამავე განყოფილებაში მოცემული კანონქვემდებარე აქტების უმრავლესობა ასევე მოძველებულია. მოცემულ ქვე-განყოფილებაში სასურველია აგრეთვე მოიძიებოდეს ცენტრის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები, აგრეთვე ცენტრის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინსიტრაციულ-სამართლებრივი აქტები - ბრძანებები.

სასურველია ქვე-განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ";
- საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" ;
- ცენტრის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები; (საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები მიმოფანტულია ცენტრის ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „საგანმანათლებლო სისტემა" არსებულ ქვე-განყოფილებაში „ინტერნაციონალიზაცია" , ქვე-განყოფილებაში „ბოლონიის პროცესი", რაც სირთულეს ქმნის მომხმარებლსიათვის აღნიშნული ინფორმაციის მოძიების მხრივ).

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზაცია-აკრედიტაციის განხორციელების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. კერძოდ:

- არ მოიძიება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის იმ თანამდებობის პირთა სახელები და გვარები, აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები

(ტელეფონის ნომრები, ელ. ფოსტები), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ზემოთ ხსენებულ სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელებაზე;

- არ მოიძიება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული განცხადების ფორმები და თითოეული განცხადების ფორმის შევსების ინსტრუქცია, რომლებიც აუცილებელია ზემოთ ხსენებულ სახელისუფლებო ქმედებათა განსახორციელებლად;

- არ მოიძიება ზემოთ ხენებულ სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელებასთან დაკავშირებით ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ფიზიკური და იურიდიული პირების მიღებისა და მათთან მუშაობის გრაფიკი.

17. ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა და ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა საჯარო დაწესებულებაში მიღების წესის აღწერა.

18. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი არანაირი სახის ინფორმაცია ცენტრის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და ცენტრში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინსიტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომლებიც მოიცავენ საჯრო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა ან მასზე უარის თქმის თაოაბზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/infostatistic_g.pdf);

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

19. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა ცენტრსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე ცენტრსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

20. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს ცალკეული (ქვე-)განყოფილება „ვაკანსიები“, რომელშიც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (ცენტრის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

21. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება ცენტრისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ცენტრის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“** ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს **„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/budget_g.pdf);

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ცენტრის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/xarisxisganvitarebiscentri_xelfasipremia0001.pdf);

- არ მოიძიება ცენტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული *და მისთ.*) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ცენტრისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
66,67%
2. ძიება
20,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
50,00%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
0,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
63,16%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
71,43%
9. ელექტრონული ჩართულობა
16,67%
10. ელექტრონული სერვისები
18,18%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
50,00%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5
0,6
0,7
0,8

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდზე, ინფორმაციის ძიება თარიღის მიხედვით არ ფუნქციონირებს:



- **ძიება**

ვებ-გვერდის მარტივი ძიების მოდული არ ფუნქციონირებს:



- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდზე მოცემულია კალენდარი, ძიების მოდული და სხვა დეტალები. ნავიგაციის დროს შეამჩნევთ, რომ ეს ატრიბუტები, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ ზოგჯერ მარცხნივ გადადის, ზოგჯერ მარჯვნივ. ხელმარჯვნივ:



ხელმარცხნივ:

ვებ-გვერდზე ინტეგრირებული მოდულების გადაადგილება აბნევს მომხმარებელს, შესაბამისად ვებ-გვერდი ნაკლებად ინტუიციურია;

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

საკონტაქტო ფორმა ვებ-გვერდს სამწუხაროდ არ აქვს, თუმცა აქვს საკონტაქტო მონაცემები:



თუ დააკვირდებით, ვებ-გვერდის მთავარი ელ.ფოსტა არის: info@eqe.ge გამომდინარე იქიდან, რომ სტანდარტულად, საქართველოს საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდები უნდა იყოს gov.ge-ით დაბოლოებული, ელ.ფოსტის მისამართი არ არის სწორი, და იგი უნდა იყოს შემდეგი ფორმატის: info@eqe.gov.ge. ამავე დროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდი მუშაობს ორ განსხვავებულ დომენურ მისამართზე www.eqe.ge და www.nea.ge რამაც შეიძლება დააბნიოს მომხმარებელი. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ქართულ ოფიციალურ ვებ-სივრცეში განთავსებული გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდი დომენური სახელით - www.nea.gov.ge;

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-გვერდზე რამოდენიმე კატეგორია საერთოდ ცარიელია:



ასეთ შემთხვევებში, აუცილებელია აღინიშნოს, რომ გვერდი მზადების პროცესშია;

ვებ-გვერდზე, ზოგიერთი ატვირთული ფაილის ფორმატი არასწორად არის გაწერილი, რის გამოც შესაბამისი ფაილები არ იხსნება, მაგალითად:



ამ ბმულზე დაჭერით, გადავდივართ შემდეგზე:



სადაც აშკარად ჩანს, რომ ფაილის დაბოლოება PDF-ს მაგივრად არის PFD;

ვებ-გვერდის ზოგიერთი ფაილი მოიცავს დასკანერებულ სურათებს, რომლებიც საძიებო სისტემებში ვერ ხვდება, შესაბამისად მოძიებადი არ არის:



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 188

07 04 2011 წ.

ქ. თბილისი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების
დამტკიცების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან
შესაბამისობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, „განათლების ხარისხის განვითარების

ასეთი ფაილების კონტენტი, დაწერილი უნდა იყოს ჩვეულებრივი ტექსტით და არა სურათებით;

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის მოდულები, როგორიც არის ძიება, თარიღის მიხედვით ინფორმაციის მოძიება არ ფუნქციონირებს, აუცილებელია მათი გამართვა და გასწორება. თუ ეს შეუძლებელია მაშინ ეს მოდულები უნდა გაუქმდეს ვებ-გვერდიდან, რადგან მომხმარებელი შედის შეცდომაში;

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდში აღმოჩენილია საკმაოდ მნიშვნელოვანი შეცდომა უსაფრთხოების კუთხით, რაც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. ჩვენ ვებ-გვერდის უსაფრთხოების მიზნით არ დავწერთ კონკეტულად სად არის ეს ტექნიკური წუნი, თუმცა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთა დაინტერესების შემთხვევაში აუცილებლად მივაწვდით დეტალურ ინფორმაციას.

Server Error in '/' Application.

Runtime Error

Description: An application error occurred on the server. The current custom error settings for this application preve
machine.

Details: To enable the details of this specific error message to be viewable on remote machines, please create a <cust
"mode" attribute set to "Off".

```
<!-- Web.Config Configuration File -->

<configuration>
    <system.web>
        <customErrors mode="Off"/>
    </system.web>
</configuration>
```

Notes: The current error page you are seeing can be replaced by a custom error page by modifying the "defaultRedirec

```
<!-- Web.Config Configuration File -->

<configuration>
    <system.web>
        <customErrors mode="RemoteOnly" defaultRedirect="mycustompage.htm"/>
    </system.web>
</configuration>
```

- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდს არ აქვს online გადახდების ფუნქცია, თუმცა ეს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული:

მომსახურება

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას, მათ შორის, **ლეგალიზაციასა და აპოსტილით** დამოწმებას;

განათლების **აღიარებას**;

ხელს უწყობს მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილების პროცესს და ახორციელებს სტუდენტთა **მობილობის** პროცესის ადმინისტრირებას;

ხელშეკრულების საფუძველზე სთავაზობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს **სამართლებრივი დახმარების** მომსახურებას;

ახორციელებს მცირემასშტაბიან **კვლევებს** განათლების სფეროში.

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდი საერთო ჯამში ტოვებს ცუდ შთაბეჭდილებას, რაგან არსებობს მოდულები, რომლებიც საერთოდ არ მუშაობს, ასევე ზოგიერთ კატეგორიაში არ მოიპოვება ტექსტი, ფაილების ფორმატები არასწორად არის გაწერილი, რის გამოც შეუძლებელია შესაბამისი ფაილებს გახსნა (თუ მცირე პროგრამული ჩარევა არ მოხდა). ასევე უნდა ითქვას, რომ ვებ-გვერდს პრობლემები აქვს უსაფრთხოების კუთხით.